პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 სექტემბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 170 (9837) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გამარჯობა, ცოდნის დღესასწაულო!

**შემოდგომის** პირველმა დღემ ახალი სასწავლო წლის ათვლა დაიწყო. ამ მოვლენებისადმი მიძღვნილი ცოდნის ტრადიციული დღესასწაული ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანია კალენდარზე, რომელიც ერთნაირად ახლობელია ყველასათვის, ვინც პირველმა უნდა გადააბიჯოს სკოლის კარიბჭეს, ადამიანებისათვის, რომლებისთვისაც სწავლა შორეულ თუ ახლობელ ხანას განეკუთვნება, მაგრამ ყოველთვის კეთილი და ნათელი მოსაგონარია. ვინც უნდა ვიყოთ ჩვენ, სწორედ სკოლამ ბევრად განსაზღვრა ჩვენი ცხოვრებისეული გზა. განათლებასთან ერთად, უმაწვილი აქ იღებს სიკეთის, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი სიმწიფის, სამშობლოსა და მოვალეობის მსახურების გაკვეთილებს. პედაგოგთა ნიჭზე, გულუხვობასა და გონებაზე, საქმის ერთგულებაზე, სარისხოვანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ყოველივე საჭიროთი სასწავლებლების აღჭურვაზე დამოკიდებულია მოზარდი თაობების ჩამოყალიბება და, მაშასადამე, სამშობლოს, თითოეული ჩვენგანის მომავალიც. ამიტომ ზრუნვა სკოლისათვის საყოველთაო საქმეა. განსაკუთრებით საჭიროა გავიზიაროთ ეს ახლა, გარდაქმნის ეპოქაში, როცა სახალხო განათლების სისტემაში, ისევე როგორც ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, კარდინალური ცვლილებები ხდება. ახლანდელი სასწავლო წლის დაწყება სახალხო განათლების სისტემის მუშაობის კარდინალური განახლების პროცესის დასაწყისია.

მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, პედაგოგიური კორპუსის წარმომადგენლებისათვის — ცოდნის დღესასწაულის მოსალოცად ამ დღეს მოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. გლურჯიძე, გ. გ. გუმბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მგელაძე, ვ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე, ა. გ. ჩიხოევი.

(საქინფორმი).

# ახალ სასწავლო წელს — სიახლეებით

**ახალი** სასწავლო წელი ბევრგან ახალ სასკოლო შენობებში, ახალ კაბინეტ-ლაბორატორიებში დაიწყეს რესპუბლიკის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. თბილისში, ლოტკინ მთის დასახლებაში გუშინწინ პირველი ზარი დაირეკა 190-ე სკოლაში. ნაგებობა თანამედროვე ტიპისაა და, რაღა თქმა უნდა, აქვს სპორტული ბაზები — ორი დარბაზი, ღია მოედნები, საცურაო აუზი და... 35 ადგილიანი სასტუმრო, რომელიც, ცხადია, ამ სკოლის აღსაზრდელებს მოწვეულ თანატოლებთან სპორტული მეგობრობის განმტკიცებაშიც შეუწყობს ხელს. შესანიშნავი სპორტული კომპლექსი (საცურაო აუზით) აქვს კიდევ ერთ ახალ (№ 188) სკოლას, რომელიც მუხიანის დასახლებაში გადაეცა საექსპლუატაციოდ.

სკოლები, რომლებსაც აქვთ კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსები გაიხსნა აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთში, რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში.

ცოდნის დღესასწაული, რომელიც, ისევე როგორც ყველგან, თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც გაიმართა, განსაკუთრებით დაამშვენა და გაახალისა ახალმა გამაჯანსაღებელმა კომპლექსმა, რომლის მშენებლობა წარმოუდგენლად მოკლე დროში დაამთავრა რესპუბლიკის სპორტსახკომის „საქსპორტრემმშენმა" (ტრესტის მმართველი თენგიზ ქუსერიძე, მთავარი ინჟინერი შოთა შოთაშვილი, № 1 სამმართველოს უფროსი ნოდარ პირველი, № 6 სამმართველოს უფროსი ჯონი ჩხენკელი). ინდივიდუალური პროექტით აგებული ამ ჩინებული კომპლექსის საზეიმო გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბორის ნიკოლსკი. ფიზიკური აღზრდის კათედრის ვეტერანმა მასწავლებლებმა გაიხსენეს წარსული, როცა ინსტიტუტის სპორტული დარბაზის მშენებლობა 10 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, ახლა კი ეს ძვირფასი საჩუქარი მშენებლებმა 6 თვეში მოუმზადეს ინსტიტუტის კოლექტივს.

— ეს იყო ორგანიზაციულად ურთულესი სამშენებლო უბანი, რომელსაც ფაქტიურად არ ჰქონდა სამუშაო პოლიგონი, შეუძლებელი იყო ტექნიკის მანევრირება, მაგრამ მშენებლებმა სასწაული მოახდინეს, დიდი მადლობა მათ — ამბობს ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი რ. მეტრეველი. გამაჯანსაღებელ ცენტრში შედის ახალი სპორტული დარბაზი, ვრცელი სატრენაჟორო ოთახი, სხვა სათავსები, ახალი ნაგებობა გვირაბით დაუკავშირდა ძველ სპორტულ დარბაზს.

საქართველოს სპორტსახკომის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსმა თენგიზ რუხაძემ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამუშაოთა გრაფიკის დაცვას, იქვე შეგვახვედრა იმ ადამიანებს, რომლებმაც დრო და ძალღონე არ დაზოგეს, რათა სიტყვა არ გაეტეხათ. აი, ისინიც: სამუშაოთა მწარმოებლები — ბესიკ მეავანაძე, მიხეილ რეხვიაშვილი, დონალდ ლატარია, ფრიდონ კვახაძე, ვაჟა მიქელაძე, ჟიული ბეროშვილი, ზურაბ მელიქიძე; მუშები — ნოშრევან ფოლადაშვილი, ერვანდ ჩართოლანი, არჩილ მჭედლიძე, შალვა ირემაშვილი, გურამ სახლთხუციშვილი, იოსებ აივაზოვი, თემურ ფულარიანი, მძღოლი გელა ციხიშვილი, მეამწეები ალექსანდრე სინეგლაზოვი და ვალერი ტაგიევი. ინსტიტუტის რექტორმა მადლობა გადაუხადა სპორტსახკომის ხელმძღვანელობას, რომლის ყოველდღიურ კონტროლზეც იყო ეს ობიექტი დაპროექტებიდან მშენებლობის დამთავრებამდე.

**ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი** ყოველ ახალ სასწავლო წელს სიახლეებით ეგებება, რაც პირველ ყოვლისა ამ სასწავლებლის ახლანდელი ხელმძღვანელობის (რექტორი, პროფესორი ომარ გოგიაშვილი) დამსახურებაა. ცოდნის დღესასწაულისადმი აქ გამართულ ზეიმზე შეკრებილთ მიესალმა საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს განახლებული სპორტული დარბაზები, ახალი და მშენებარე ბაზები, ეწვივნენ ინფორმატიკის კლასს, რომელიც უნიკალური იქნება მთელს საბჭოთა კავშირში. გამოითქვა წინადადება, რომ ინსტიტუტმა ინფორმატიკის კლასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამსახურშიც ჩააყენოს. დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტთა სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის სამომავლო გეგმებმა, რომლის ერთი მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ სპორტული ტრენაჟორების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნა სტუდენტთათვის.






ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მარცხნივ — ახალი სპორტული დარბაზის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე. მარჯვნივ — სატრენაჟორო ოთახი.





ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. პირველკურსელთა სახელით სტუდენტებს მიესალმება სინქრონულ ცურვაში 1988 წ. იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი ნინო მაისურაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



## როგორ გაიცა ოლიმპიური საგზური

**როგორც** უკვე გაცნობეთ, თბილისელმა მოფარიკავემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადიმერ აფციაურმა სეულის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება მოიპოვა. ბოლო ორ შესარჩევ შეჯიბრებაზე მან თვალნათლივ დაუმტკიცა მეტოქეებსაც და ნაკრების მწვრთნელებსაც თავისი უპირატესობა. ჯერ იყო და მოსკოვში, დინამოელთა საკავშირო პირველობაზე, სადაც ოლიმპიური გუნდის ყველა კანდიდატი გამოდიოდა, დამაჯერებლად დაიკავა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. შემდეგ კი, უკვე საერთაშორისო შეჯიბრებაზე, რომელიც უნგრეთში ტარდება „ბალატონის" სახელწოდებით, ყველა თანაგუნდელი ჩამოიტოვა და პირველობა მხოლოდ იტალიელ რაპირისტს არპინოს დაუთმო. ამის შემდეგ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებს ბევრი აღარ უყოყმანიათ.

## მაგნიტური დღეები სექტემბერში

მაგნიტური დღეებია 7, 11, 19, 20 და 25 სექტემბერი. ვისაც რაიმე ქრონიკული დაავადება აქვს, ამ დღეებში უნდა იყოს განსაკუთრებული ყურადღებით შრომისა და დასვენების რეჟიმისადმი.

ექიმები გვირჩევენ ამავე დღეებში შევამციროთ ფიზიკური დატვირთვა.

## მესხი ამარცხებს შრაივერს

**ფლაშინგ-მიდოუ** (აშშ). ნიუიორკის მახლობლად ჩოგბურთის ეროვნული ცენტრის 16 კორტზე დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების 107-ე ღია ჩემპიონატი, ტურნირი, რომელსაც „დიდი მუზარადის" სერიის შეჯიბრებებში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია.

ჩემპიონატში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ქალთა ოლიმპიური კვარტეტი, რომელიც 11 სექტემბერს უნდა დაბრუნდეს მოსკოვში და ერთი დღის შემდეგ ტოკიოში გაფრინდეს.

აშშ-ს ღია ჩემპიონატის დაწყება წვიმიანი ამინდის გამო რამდენჯერმე გადაიდო, ამიტომ ზოგიერთ მონაწილეს მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს ჩატარებული, ზოგმა კი უკვე ორი ტური დაამთავრა და და 32 უძლიერესს შორის გავიდა. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის თბილისელი ლეილა მესხი, რომელმაც პირველ წრეში დანიელი ტინა ლარსენი დაამარცხა (7:5, 4:6, 6:3), ხოლო მეორეში მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს ამერიკელ პამ შრაივერს აჯობა (4:6, 6:1, 6:4).

მესამე წრეში გავიდა ლვოველი ლარისა სავჩენკოც ელიზა ბერგინთან გამარჯვების შემდეგ — 5:7, 7:5, 6:4.

მოულოდნელი მარცხი, თანაც ტურნირის სტარტზე განიცადა მინსკელმა ნატალია ზვერევამ. იგი დამარცხდა ამერიკელ კიმ სტეინმეტცთან (6:4, 3:6, 4:6).

რამდენიმე მოულოდნელობა მოხდა ვაჟთა ტურნირშიც. გათამაშებას უკვე გამოეთიშნენ ამ ტურნირის ოთხგზის ჩემპიონი ჯონ მაკინროუ და უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი ბორის ბეკერი.

**ბიტომი.** პოლონეთის ამ ქალაქში მიმდინარე ტურნირში წარმატებით გამოდიან საბჭოთა ჩოგბურთელი ვაჟები. სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა იოსებ კროჩკომ ჰოლანდიელი ტომ კემპერსი დაამარცხა (6:4, 6:0), თბილისელმა დავით კაჭარავამ — პოლონელი ტომაშ მალიშევსკი (6:2, 1:6, 6:2), მისმა თანამემამულემ ვლადიმერ გაბრიჩიძემ კი — მეორე პოლონელი ჩოგბურთელი ტომაშ ივანსკი (7:5, 6:4).

## ერთი მწვრთნელის აღზრდილებით

**როგორც** „ლელოს" მკითხველებმა იციან, ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე წარუმატებლობა განიცადეს საქართველოს მძლეოსნებმა. ამ მარცხის მიუხედავად მაინც გვინდა აღვნიშნოთ გუნდის ორი სპორტსმენი, რომლებმაც მედლების მოპოვება შეძლეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელის, თბილისელი ნინო ონაშვილის შედეგი უკვე გაცნობეთ. (III ადგილი).

ბირთვის კვრაში II ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა გურანდა თედორაძემ — 14,86 მ. იგი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველ კურსზე სწავლობს. ამ გოგონების წარმატებებს თანაბრად იყოფს მათი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი მძლეოსანი ლამარა ტულუში. დიახ, ერთი სპეციალისტის აღზრდილებმა მოახერხეს ის, რაც მთელმა ნაკრებმა ვერ შეძლო — ჭაბუკთა თამაშების მედლები მოიპოვეს. მთლიანად კი ლამარა ტულუშის მოწაფეებმა 5 სახეობაში მიიღეს ჩასათვლელი ქულები. თედორაძეც და ონაშვილიც თბილისის განათლების სამმართველოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის აღზრდილები არიან (ორივე — „დინამო").

# შევცვალოთ საქმისადმი დამოკიდებულება, ვისხელ
# ქართული ფეხბურთის საერთო ინტე

## რა მიზანი აქვს ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატს?

**საქართველოს** საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებში ბოლო ხანს მომხდარი ამბების ირგვლივ ბევრი რამ უკვე ითქვა და დაიწერა, მაგრამ ვგრძნობთ: სათქმელი კიდევ რჩება. მით უმეტეს, განსჯა-აზრებისთვის ახალ იმპულსს თვით ამ ამბების ექოც იძლევა..

პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და შევეცდებით პასუხი გავცეთ ერთ მთავარ კითხვაზე: რას გვაძლევს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი? ვიდრე ხელში კალამს ავიღებდით, ბევრ სპეციალისტს ვკითხეთ, მაგრამ ვერავინ გაიხსენა, თუნდაც ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი გუნდებიდან ერთი ფეხბურთელი მაინც მიეწვიათ უმაღლეს ლიგაში. იგივე ითქმის თასის მფლობელზე. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, ჩემპიონატის I ჯგუფის დღევანდელ ლიდერებს გადავხედოთ. ეს გუნდებია ვანის „სულორი“, ხობის „კოლხეთი“ და ზუგდიდის „დინამო“. სამწუხაროდ, დღეს ვერც ამ კოლექტივებში ვხედავთ გამოკვეთილად პერსპექტიულ ფეხბურთელებს, თუმცა გარეგნულად ყველაფერი უპრეტენზიოდ გამოიყურება. „სულორის“ საშუალო ასაკია 22,5 წელი, „კოლხეთისა“ — 24, „დინამოსი“ — 22,4. ვანელებს შინ აღებული აქვთ 24 ქულა, სტუმრად — 15, ხობელებს — შესაბამისად 26 და 13, ზუგდიდელებს — 22 და 16. აი, საქართველოს თასის მფლობელმა წყალტუბოს „შადრევანმა“ შინ 26 ქულა მოიპოვა, სტუმრად — 6, თასის მეორე ფინალისტმა — შესაბამისად 15 და 11. ერთი სიტყვით, საპრეტენზიო, მით უფრო, თუ ხელთ რაიმე საბუთი არა გაქვს, ალბათ მართლაც არაფერია, მაგრამ საბოლოო შედეგს რა საბუთი უნდა — რესპუბლიკის ჩემპიონატი ვერ კვებავს უმაღლეს ლიგას და აქედან გამომდინარე დასკვნაც ერთია: ჩემპიონატი ტარდება მხოლოდ ჩემპიონთა და პრიზიორთა გამოსავლენად და უფრო პრესტიჟულ ლიგაში ადგილის მოსაპოვებლად. იშვიათი გამონაკლისები, მოგეხსენებათ, ვერც ერთ სფეროში, მით უმეტეს ფეხბურთში, ამინდს ვერ ქმნიან. თუ მართლა საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივებთან გვაქვს საქმე, სად არიან საუკეთესო ფეხბურთელები, მათ ხომ სანთლით დაეძებენ ჩვენი მწვრთნელები.

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს პირველობის ყველა ჯგუფში 110 გუნდი მონაწილეობს. ყოველწლიურად 110 პერსპექტიული ახალგაზრდის გასინჯვისა და მათგან თუნდაც ათიოდე პერსპექტიული ახალგაზრდის შერჩევის შესაძლებლობა ხომ მაინც უნდა გვქონდეს? არა, არა გვაქვს და აი, თავისთავად მივადექით მეორე და ასევე მთავარ კითხვას—მაშ, ვისთვისაა საქართველოს ჩემპიონატი, ვის სჭირდება ასეთი პირველობა? პირდაპირ უნდა ითქვას: საქართველოს საფეხბურთო პირველობა სჭირდებათ იმათ: 1. ვისაც ფეხბურთი რაიონის თუ ქალაქის პრესტიჟის

საქმედ და საერთოდ ა
სპორტის განვითარების ს
მიაჩნია, 2. ვისაც ფეხბურ
არსებო წყაროდ უქცევია (
ებათ მწვრთნელებსაც და ფ
თელებსაც). საბუთი გ
საზოგადოებრივ აზრზე
საბუთს ვერავის შევთავაზებ
კიდევ, ვეყრდნობით იმ ნეგატ
მოვლენების საერთო ანალიზ
ქმნილ შთაბეჭდილებას, რომ
შესახებაც სხვადასხვა დროს
გაზეთში დაიბეჭდა კრიტ
წერილები, შეფასებები კი
ტსახკომის კოლეგიის დადგე
ბებში აისახა. ხომ იყო რესპ
კის პირველობის მატჩის
გაყალბების ფაქტი ბათუმშ
დაც ადგილობრივმა „ავტომ
ლისტმა“ და სოხუმის უნივე

## არა მარტო უდისციპლინობას, ქორებსაც უნდა ვებრძოდეთ!

ჩვეულებრივი ამბავია, მოთხოვნების გამკაცრება და თვითნებობიდან წესრიგისაკენ მოწოდება უმალვე ბადებს ჭორებს, რაც, ასე ვთქვათ, უკანასკნელი გაბრძოლებაა თავდაცვისათვის. მაგრამ ჭორი, ტყუილ-მართლის ერთმანეთში აღრევა, სასურველის ან მოჩვენებითის სინამდვილედ გასაღება მაინც ვნებს საქმეს.

რაც ზემოთ ვთქვით, ამჯერად საქართველოს ფეხბურთელთა პირველობის მატჩებში სულ ბოლო პერიოდში მომხდარ ამბებს ეხება. რას აღარ გაიგონებთ: ერთნი ხმებს ავრცელებენ, თითქოს მოთხოვნების გამკაცრებამ ანგარებიანი მსაჯები შეაშინა და ისინი ახლა ჯიბრზე „აფუჭებენ“ თამაშებს, მსაჯობენ უპასუხისმგებლოდ და განსაკუთრებით მფარველობენ იმ გუნდებს, რომლებიც გათამაშების ცხრილში მაღალ საფეხურებზე არიან, მეორენი ფეხბურთის სამმართველოს უსაფუძვლოდ ადანაშაულებენ იმაში, რომ რაიონში სამსაჯოდ ჩავიდა არა ძირითადი, არამედ სათადარიგო მსაჯი. სტუმრად წაგების შემთხვევაში შინ დაბრუნებული მოთამაშენი და მწვრთნელები ათასგვარ ჭორს ავრცელებენ ადგილობრივ ფეხბურთის გულშემატკივრებში. ამის შედეგია, რომ რედაქციაში გაუთავებლად მოდის პრეტენზიული წერილები. სწორედ ასეთი ვაი-მწვრთნელები აღვივებენ კუთხურობას, არაფრად აგდებენ რესპუბლიკის საერთო საფეხბურთო ინტერესებს. დიდი დრო იკარგება მტყუან-მართლის გარჩევაში. ბოლოს აღმოჩნდება, რომ მატჩი მსაჯმა კი არ წააგებინა, არამედ თავად გუნდმა ითამაშა უსუსურად, მსაჯი, რომელიც უნდა ჩასულიყო ამა თუ იმ რაიონში, ვერ ჩავიდა მხოლოდ იმიტომ, რომ საკავშირო პირველობაზე იყო გამოძახებული და იმიტომაც შეცვალეს სათადარიგოთი (წლეულს ასეთი რამდენიმე შემთხვევა იყო). თურმე ის ამბავი, შინ მარცხით დაბრუნებულმა მწვრთნელებმა რომ ჩაიტანეს რაიონში, სულაც არ შეეფერება სინამდვილეს, ხშირად ადანაშაულებენ მსაჯს, რომელსაც თავად ხუთიანი დაუწერეს, სიცრუე წაგების გამართლებისთვის დასჭირდათ. ქვემოთ კონკრეტულად შევჩერდებით ერთ ფაქტზე. მანამდე ვიტყვით, რომ ვანის „სულორი“, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის ლიდერია, ერთ-ერთი დისციპლინიანი და სამაგალითო გუნდია. ბოლო წლებში ვანი რესპუბლიკაში მისაბაძ სპორტულ რაიონად იქცა. ეს ყველას ემაყება და ახარებს, მით უფრო გულდასაწყვეტია ფეხბურთის ვანელი გულშემატკივრების დეზინფორმაცია ერთ-ერთი მატჩის გამო.

ახლა კი სიტყვას ვუთმობთ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტული თამაშების სამმართველოს უფროს ინსტრუქტორს არდევან ნიკოლაიშვილს, რომელიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს დავალებით ესწრებოდა ყვარელში გამართულ მატჩს. აი, რას წერს იგი:

„23 აგვისტოს ყვარელში ჩატარდა საქართველოს პირველობის კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „დურუჯმა“ ვანის „სულორს“ უმასპინძლა. „სულორი“ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია, ყვარლის „დურუჯი“ კი საშიშ ზონაში იმყოფებოდა და ყოველივე ამან განაპირობა მატჩისადმი დიდი ინტერესი.

ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ შეხვედრა წარიმართა „დურუჯის“ ფეხბურთელთა სრული უპირატესობით. ასეთი მატჩის დროს, სამწუხაროდ, ხშირია უხეში თამაშის შემთხვევები, მაგრამ ამ მატჩში მსგავსი რამ არ მომხდარა, რაც მსაჯთა ბრიგადის (რ. ტალიაშვილი, ვ. ხეჩოიანი, ნ. კილაძე) და თვით მეტოქე გუნდების დამსახურებაა. მატჩი რომ ნორმალურად ჩატარდა, ეს იმითაც გამოიხატა, რომ ვანელმა ფეხბურთელებმა გულითადად მიულოცეს ყვარლელებს გამარჯვება (1:0), ხელი ჩამოართვეს, ზოგიერთმა ვანელმა

სპორტსმენმა მასპინძელი ფე
თელები გადაკოცნა კიდეც.
ჩის დამთავრების შემდეგ
ფეხბურთელთა გუნდის ხელმძ
ნელები, რა თქმა უნდა, გუ
წყვეტილნი იყვნენ, მაგრამ მათ
თხულოვნად განაცხადეს; რომ
ხვედრა ჩატარდა ობიექტურად
თამაშის ტექნიკურ ოქმში მსა
საც ხუთიანები დაუწერეს.
და აი, ვანელ გულშემატკივ
ამბავი ჩაუტანეს, რომ „მატჩი
ტარდა ძალზე არაობიექტუ
მსაჯების აშკარა მიკერძოებით“
ლიდერს, ვანის „სულორს“ ძა
წააგებინეს. განა არ ჯობდა რა
ნში სიმართლე თქმულიყო?
ლმა ფეხბურთელებმა ხომ ვა
ცობის და გამარჯვებული მეტ
პატივისცემის მაგალითიც გვი
ნეს. განა ყოველივე ეს ქულაზ
კლებ ფასობს?“
დიახ, ფეხბურთში უდისციპლ
ნობასთან ერთად ქორებსაც უ
ვებრძოდეთ.

## რას ნიშნავს კოლექტიური პროტესტი?

**რედაქციაში** იმატა კოლექტიურმა წერილებმა, ფეხბურთს და ფეხბურთელებს, მეტწილად საქმეში ჩაუხედავად, არაობიექტურად ექომაგებიან ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. იშველიებენ ავტორიტეტულ პირებს, მათ შორის დეპუტატებს, გმირებს, დელეგატებს და ა. შ. ეს ძველი მეთოდია. ვის ვემუქრებით, ვის ვაშინებთ, ან რატომ? აზრის კოლექტიური გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ იგი უნდა იყოს ობიექტური და არა საქმისა და საერთო პრინციპების საწინააღმდეგო, ბოლოს და ბოლოს, რასაც ვამტკიცებთ, პასუხიც ხომ უნდა ვაგოთ მისი სისწორისთვის. გალიდან გამოგზავნილ კოლექტიურ წერილში უარყოფილია „ლელოს“ 20 აგვისტოს ნომერში აღნიშნული ფაქტი — საქართველოს თასზე გალის „მზიურისა“ და რუსთავის „მეტალისტის“ შეხვედრაში მომხდარი ინციდენტი. ამ მატჩის მსაჯი რ. ვერულაშვილი ჩვენს გაზეთში წერდა: „თამაშის დამთავრებას აკლდა 2 წუთი, როცა „მზიურის“ მწვრთნელმა ანზორ გრძელიძემ (იგი რატომღაც „მეტალისტის“ კარს უკან იდგა) ხმამაღალი შეძახილით მოითხოვა დაენიშნა სტუმართა კარში 11-მეტრიანი. რაც არ იყო განპირობებული სათამაშო სიტუაციით... შეხვედრის დამთავრების შემდეგ მაყურებელი გადმოვიდა მოედანზე. მილიციის მუშაკებმა, რომლებიც იმ დღეს მრავლად იყვნენ სტადიონზე, უმალვე აღკვეთეს ხულიგნობა. ერთმა მაყურებელმა მაინც მოასწრო და ხელი დამარტყა“. ამ ფაქტთან დაკავშირებით გალიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. ლეჟავა, სოციალისტური შრომის გმირი ხ. შონია, სკკპ XIX პარტიული კონფერენციის დელეგატი ი. შამუგია, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მ. ცვანუა და სხვები გვწერენ: „გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნული ფაქტები „მზიურის“ მწვრთნელის ქმედობის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება, ისევე როგორც მსაჯის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება“. ვის დავუჯეროთ? წერილის ავტორებს თუ მსაჯს, რომელსაც ფიზიკურადაც შეეხნენ? აქაოდა ჩვენ უფრო დაგვიჯერებენო გალიდან გამოგზავნილ ამ წერილზე აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნულ პირთა გარდა კიდევ 70 კაცი აწერს ხელსო. გვაპატიონ, მაგრამ იქნებ ჯობია ამ ადამიანებმა უფრო ობიექტურად თავისი საქმე აკეთონ.

იმავე რაიონიდან მივიღეთ ინჟინერ-მშენებლის ზ. უბილავას წერილი, რომელიც ასევე კატეგორიულად უარყოფს გალის სტადიონზე იმ მატჩში მომხდარ დარღვევებს და კითხვას სვამს: იმ მატჩის 1500 მაყურებელს და „მზიურის“ მწვრთნელს ანზორ გრძელიძეს ვინ მოუხდის ბოდიშსო?

მაგრამ ამგვარი გულშემატკივრების გარდა ჭეშმარიტი ქომაგებიც საკმაოდ არიან. ისინი იწონებენ ღონისძიებებს, რომლებიც ახლა ტარდება ქართული ფეხბურთის გაჯანსაღებისათვის. მოითხოვენ არ შენელდეს საზოგადოებრივი კონტროლი.

### ახლა კი გთავაზობთ კიდევ ერთ წერილს გალიდან

პატივცემულო რედაქცია!

ძალიან გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი, რადგან დარწმუნებული ვარ, მასში დასმული პრობლემები სხვებსაც დააინტერესებს.

წავიკითხე „ლელოს“ 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული მოწოდება ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისადმი და გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა.

ვარ გალის მკვიდრი. 6 აგვისტოს შედგა მატჩი ადგილობრივ „მზიურსა“ და „მუხრანი-სსი“-ს გუნდებს შორის. მეხუთე წუთზე „მუხრანი-სსი“-ს თავდამსხმელმა ჭყონიამ აუარა გვერდი მცველს, გასცდა მას, მაგრამ ამ უკანასკნელმა განზრახ ტრავმა მიაყენა. ჭყონია მოედნიდან სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს. მსაჯმა, რომელმაც ყველაფერი კარგად დაინახა, არამცთუ არ გააძევა გალელი ფეხბურთელი, არამედ არც გააფრთხილა. შემდეგ გავიგე, ჭყონია გუნდის საუკეთესო მოთამაშე, ლიდერი და ნიჭიერი ფეხბურთელი ყოფილა.

მე, როგორც გულშემატკივარს, მაღელვებს ის ამბავი, რომ მწყობრიდან გამოჰყავთ ყველაზე კარგი მოთამაშეები და ამაზე პასუხს არავინ აგებს. სამწუხაროდ, სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე, რომელიც საქმიანად წარიმართა, ანალოგიურ ამბებზე არაფერი თქმულა. ამ მახინჯმა მოვლენამ საკმაოდ მოიკიდა ფეხი დაბალი რანგის გუნდებში, რაც მეტად საზიანოა ჩვენი ფეხბურთისათვის. ქულების დაგროვების წადილით ასეთ არასპორტულ საქციელს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

მე, დამწყები ფეხბურთელის მამა, იძულებული ვარ ჩამოვაცილო ჩემი შვილი ფეხბურთს, ვინაიდან შესაძლებელია პირველსავე ოფიციალურ თამაშში ჭყონიასავით მწყობრიდან გამოიყვანონ. გარდა ამისა, რა სახარბიელოა გაუშვა შვილი იმ კოლექტივში, სადაც ასეთი დაუნდობელი ხალხია. მათთან რომ ითამაშოს, თვითონაც ისეთივე უნდა გახდეს. ასე ფიქრობს მშობლების უმრავლესობა. ამიტომ გაქრნენ ჩვენში ნიჭიერი ფეხბურთელები.

რა დაუშავდებოდათ ფეხბურთელებს ან მწვრთნელს, რომ მისულიყვნენ და გუნდის სახელით ბოდიში მოეხადათ ჭყონიასათვის? ეს ხომ მას მორალურად გაამხნევებდა. ცნობილია, რომ გერმანელი ფეხბურთელი შუმახერი საფრანგეთში ჩავიდა და ბოდიში მოუხადა დაზარალებულს. მისი საქციელი გაიმეორა ფეხბურთელმა, რომელმაც ყიფიანს მიაყენა ტრავმა. ზემოთ დასახელებულმა ფეხბურთელებმა, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ გამოისყიდეს თავიანთი დანაშაული.

ყველა წესიერი ადამიანი უსიამოვნო გრძნობას განიცდის, როცა ხედავს, წინასწარგანზრახვით როგორ გამოჰყავთ მწყობრიდან საუკეთესო ფეხბურთელები. ზემოთ აღწერილი შემთხვევაც ხომ განზრახ არის ჩადენილი?! ეს ალბათ ჭყონიამაც იცის.

ამიტომ ჩვენ, გალელი გულშემატკივრები, ძალიან განვიცდით ჭყონიას დაშავებას. გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩვენი სახელით ბოდიში მოუხადოთ ჭყონიას (მაპატიოს, სახელი არ ვიცი). დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენი გუნდის წევრებისა და, მით უმეტეს, გულშემატკივრების უმრავლესობას გაუხარდება, თუ ის გამონახავს ძალებს და დაუბრუნდება ფეხბურთს.

პატივცემულო რედაქციავ, ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა ვნახე მატჩი გალის „მზიურსა“ და რუსთავის „მეტალისტს“ შორის. ეს თქ
კარგად აღწერეთ 20 აგვისტ
„ლელოში“. წერილში ნათლად ჩ
ჩვენთან მომხდარი სამარცხვ
ამბავი, რომლის წამქეზებელი
აქტიური მონაწილე აღმოჩნდა გ
ნდის მწვრთნელი ა. გრძელი
ადამიანი, რომელიც ვალდებულ
დაიცვას მსაჯი, დააწყნაროს საზ
გადოება და ღირსეულად შეხვე
დამარცხებას.
გალის „მზიურის“ სხვა თამა
ბის მსაჯები რ. ვერულაშვილივ
პრინციპულნი და სამართლია
რომ ყოფილიყვნენ, გუნდი და ზ
გიერთი ვაი-გულშემატკივარი,
გრძელიძის ხელმძღვანელობით უ
რო ადრე გამოამჟღავნებდნენ თა
საზოგადოებისათვის უფრო ად
გახდებოდა ცნობილი, რა ვით
ბაა გუნდში.
ძალიან გთხოვთ, წერილს ხე
ნუ მოაწერთ. ანგარიში მინდა გ
ვუწიო ჩემი შვილის დაჟინებ
თხოვნას, რომელიც მომავალ
უპირველესად ალბათ გალის ლ
ხებას დაიცავს, თუ, რასაკვირვ
ლია, სასიკეთოდ შეიცვალა ვით
რება ჩვენს ფეხბურთში. ჩვენ
ედი არ დაგვიკარგავს, გარდაქ
აუცილებლად უნდა მოხდეს“.

**რედაქციისაგან:** რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვეძლო ამ საკითხებზე არ გაგვემახვილებინა მკითხველის ყურადღება, მაგრამ ვიქნებოდით მართალი? ვფიქრობთ, არა, ეს იქნებოდა პრინციპების ღალატი. როცა ამ წერილების გამოქვეყნება გადაწყვიტა, სარედაქციო კოლეგიამ ისიც გაითვალისწინა, რომ შესაძლებელია რომელიმე ავტორი ტენდენციურია, კოლექტიურ წერილს ვინმემ იქნებ სხვისი ხათრითაც მოაწერა ხელი, იქნებ ვინმე მწვრთნელზე და გუნდზეა განაწყენებული, იქნებ... მაგრამ მაინც საჯაროობა ვამჯობინეთ, რაკი აზრთა სხვადასხვაობაა (გალის საკითხი გვაქვს მხედველობაში) ჩვენ არ გვქონდა უფლება ერთი პოზიცია მიგვეჩქმალა და მეორე წამოგვეწია წინა პლანზე, ბოლოს და ბოლოს, როგორც იტყვიან, ყველა წერილის უკან ადამიანი დგას თავისი აზრით და შეხედულებებით. გალისა და ვანის რაიონების ხელმძღვანელები, სადაც სპორტს ჯეროვნად აფასებენ და მართლაც გულთან ახლოს მიაქვთ ქართული ფეხბურთის ავიც და კარგიც, ვფიქრობთ, დღევანდელი პუბლიკაციებით გამოწვეულ ემოციებს და გაზეთის პოზიციას ერთმანეთისგან გამიჯნავენ, ჩვენ ხომ ყველანი ერთად საერთო საქმეს, ქართული ფეხბურთის ინტერესებს ვემსახურებით.

# ...ვანელოთ მხოლოდ ...სებით

...ეტმა წინასწარი გარიგებით არასრული ტაიმები და არასრული გუნდებით ითამაშეს და ანგარიშზეც შეთანხმდნენ. ხომ შედგა ამ მატჩის ოქმი, სადაც ყველაფერი ფიქტიურად ისე გაფორმდა, როგორც ფაქტიურად უნდა ყოფილიყო? ვინ იცის, რამდენი ასეთი მატჩია გაყალბებული და ოქმის მიხედვით შეფასებული. ვინ გვეტყვის, ბათუმის „ავტომობილისტის" მწვრთნელივით რამდენი გუნდის თავკაცმა არ იცის თავისი გუნდის წევრების სახელი და გვარი, სათამაშო ამპლუა... სამაგიეროდ, ისინი, გადაზრდილი, უპერსპექტივო ფეხბურთელები, ადგილობრივი ნიჭიერი ახალგაზრდა ბიჭების ადგილი რომ დაუბევებიათ გუნდებში, თავს თბილად გრძნობენ — სარფიანი ადგილი, კარგი ხელფასი და შემოსავალი, პატივისცემა... რესპუბლიკის საფეხბურთო მეურნეობის ავ-კარგი ნაკლებად თუ ვინმეს ადარდებს. ვაღიაროთ: პირდაპირი თუ შემოვლითი გზით მაინც ხელს ვუმართავთ „საშოვარზე" გასულ ფეხბურთელებს, მეზობელი რაიონის გუნდთან მოგებული მატჩის სიხარული გვიჯობს ქართული ფეხბურთის ინტერესებს. აქ არაფერია დასამალი.

ჩვენ არ გვახსენდება, იქნებ ვინმემ გაიხსენოს ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს ათმა ჩემპიონმა გუნდმა მისცა კი ვინმე თბილისის „დინამოს"?

ან ვის მისცემენ ქართულ ფეხბურთს საქართველოს პირველობის ფინალისტი გუნდები, რომელთა თამაში 31 აგვისტოს ვნახეთ „დინამოს" სტადიონზე? ყოველ შემთხვევაში დღეს და ხვალ ვერავის, არც წყალტუბოელთა და არც ბოლნისელთა გუნდში საშუალო დონის მოთამაშეც არ არის.

რამდენიმე სიტყვით დარღვევებისა და მათი მხილების შესახებ. საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანილი ფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა თავად ამხილა რედაქციამ კორესპონდენტებისა და ობიექტური გულშემატკივრების მეშვეობით, ხშირად თვით ფეხბურთის სამმართველოს მოუწოდებია მასალები, მაგრამ ყველგან მაინც ვერ წვდება ჩვენი თვალი და ყური. ვერც მისწვდება. ამიტომ ვთხოვეთ საზოგადოებრიობას, მხარში ამოგვდგომოდა, ერთად გვებრძოლა ქართულ ფეხბურთში დისციპლინისა და წესრიგის დასამყარებლად. იგი მართლაც ამოგვიდგა მხარში, რითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ქართული ფეხბურთის ბედი ყველას აღელვებს.

გვაფიქრებს ადგილობრივი ხელმძღვანელობის პოზიცია. არ ამწვავებენ, კრიტიკულად არ აფასებენ ფაქტებს, ნებსით თუ უნებლიედ ეს თავისთავად ნიშნავს იმათ მხარდაჭერას, ვინც სასურველს სინამდვილედ ასაღებს, მლიქვნელობს და ყველაფერს სხვას, მეტწილად მსაჯს აბრალებს. საგანგებოდ გადავათვალიერეთ რაიონული პრესა. თითქმის არსად შეგვხვედრია საკუთარი გუნდის კრიტიკა, დამარცხების შემთხვევაში კი აქტიურად იყრიან ჯავრს მსაჯებზე, მათ აბრალებენ ყველაფერს. გვერწმუნეთ, მიზანსწრაფულ და დისციპლინირებულ გუნდს ასე ვერ შეჰქმნით, ვერც ფეხბურთელებს აღზრდით და ვერც მაყურებელს. „დინამოს" სტადიონზე ბოლნისელი მაყურებლების თავაშვებული მოქმედებაც ხომ ამას ადასტურებს.



### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში

# პირველი მატჩი, პირველი ფრე...

**განვლილ** ოთხშაბათს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით პირველი შესარჩევი მატჩი ჩაატარა. ჩვენი გუნდი რეიკიავიკის მუნიციპალურ სტადიონზე შეხვდა ისლანდიის ნაკრებს.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებმა ამ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატზე ბრწყინვალედ ითამაშეს და ამ პრესტიჟულ ტურნირში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ჩვენ კარგად გვახსოვს ის ძნელი შეჯიბრება, ცალკეულმა მოთამაშეებმა საუკეთესო თვისებები გამოავლინეს, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ზოგიერთმა მათგანმა ცნობილი უცხოური პროფესიული კლუბების მიწვევაც მიიღო.

მაგრამ ჩვენმა გუნდმა, ამჯერად, რეიკიავიკში, თავის შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად ითამაშა. პირველმა ტაიმმა თითქმის მთლიანად ისე განვლო, რომ უპირატესობა მასპინძლებს ეპყრათ ხელთ, ისინი საკმაოდ საფუძვლიანად ფლობდნენ ინიციატივას და მეკარე დასაევს რამდენიმე მეტად ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა. ისლანდიელებმა საკმაოდ მალე, მე-10 წუთზე გაიტანეს გოლი (გრეტარსონი) და ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ამის შემდეგაც მომგერიებლის როლში გვევლინებოდა, ერთ-ორ საპასუხო შეტევას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მდგომარეობის ბატონ-პატრონნი მასპინძლები იყვნენ. დაცვაში საკმაოდ ხშირი იყო შეცდომები, უპირველესად, სუსტად ითამაშა ხიდიატულინმა და გაშვებული გოლიც მას შეიძლება დაბრალდეს, თავდასხმაში პასიურად გამოიყურებოდნენ ზავაროვი, პროტასოვი, შუა ხაზის მოთამაშეები უმთავრესად დაცვითი ოპერაციებით იყვნენ დაკავებული. საბჭოთა ფეხბურთელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, აქტიურად ითამაშა შემცვლელად გამოსულმა დობროვოლსკიმ, რამდენიმე შეტევის შემდეგ, 75-ე წუთზე, საპასუხო ბურთი გაიტანა ლიტოვჩენკომ.

ამრიგად, შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს საბჭოთა ფეხბურთელები მოუმზადებელნი შეხვდნენ. ავადმყოფობის გამო გუნდს თან არ ახლდა მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი, საბჭოთა ნაკრების მოთამაშეებმა რ. დასაევმა, [illegible] ცმა, მწვრთნელმა ი. მოროზოვმა და სხვებმა აღნიშნეს ჩვენი გუნდის მრავალი ნაკლოვანება, აგრეთვე ის, რომ ისლანდიის ნაკრები III ჯგუფის აუტსაიდერად ითვლება და, ეტყობა, მისი შესაძლებლობები სათანადოდ არ იქნა შეფასებული.

საბჭოთა გუნდმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: დასაევი, ბესონოვი (დობროვოლსკი, 60), ხიდიატულინი, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, ალეინიკოვი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი, მიხაილიჩენკო. გააფრთხილეს ბესონოვი.

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შესარჩევ მატჩს ჩვენი ფეხბურთელები 19 ოქტომბერს გამართავენ თავიანთ მინდორზე ავსტრიის ნაკრებთან.

* * *

ამავე დღეს ევროპის ზონის IV შესარჩევ ჯგუფში გაიმართა მატჩი ფინეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის. თამაში შედგა ჰელსინკში, დასავლეთგერმანელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 4:0 (2:0). 2 ბურთი გაიტანა ჰელერმა, თითო — მათეუსმა და რიდლემ.

### ფეხბურთის ამბები

**განვლილ** ოთხშაბათს გაიმართა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი, კერძოდ, მსოფლიო ჩემპიონატის III შესარჩევი ჯგუფის მონაწილეებმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ავსტრიის ფეხბურთელებმა საწვრთნელი მატჩები გამართეს ბერლინსა და ვენაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა საბერძნეთის ფეხბურთელებთან შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 (ბურთი გაიტანა სამერმა), ხოლო ავსტრიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

**შვეციისა** და დანიის ნაკრები გუნდების ტრადიციული შეხვედრა სტოკჰოლმში დამთავრდა დანიელთა გამარჯვებით — 2:1.

**ამერიკის** შეერთებული შტატების ქალაქ ლოს-ანჯელესში მიმდინარეობს „ქემელის" საერთაშორისო ტურნირი. ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდების მეტად საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ბრაზილიელთა გამარჯვებით — 5:2, ხოლო მექსიკელებმა ანგარიშით 3:0 მოუგეს სალვადორის გუნდს.

**40 ათასი** მაყურებელი დაესწრო მადრიდში ადგილობრივი „ატლეტიკოსა" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის ბრემენის „ვერდერის" ამხანაგურ მატჩს. თამაში მოიგეს სტუმრებმა — 1:0, გოლი გაიტანა „ვერდერში" მოთამაშე ნორვეგიელმა ფეხბურთელმა სკუგჰეიმმა.

**რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს მონაწილეობს 24 გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. უკვე შედგა პირველი მატჩები. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ნაბი აბი-ჩადიმმა განაცხადა, რომ ახალი ფორმულის საშუალებით კონფედერაციას სურს შეჯიბრებათა ხანგრძლივობა შეამციროს 9-დან 4 თვემდე, მაგრამ მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ტურნირის რეგლამენტის შესახებ ლაპარაკი ახლა ძნელია, ვინაიდან შეჯიბრების სრული კალენდარი ჯერ კიდევ არაა შედგენილი და, საერთოდ, ტურნირის პრინციპები გაირკვევა მხოლოდ წინასწარი თამაშების დამთავრების შემდეგ.

# როგორც ვიუწყებოდით...

**31 აგვისტოს** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო თასის ფინალური მატჩი წყალტუბოს „შადრევანსა" და ბოლნისის „მადნეულს" შორის.

თამაშის მე-15 წუთზე წყალტუბოელი ა. კერესელიძის მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. 1:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „შადრევანმა" და რესპუბლიკის თასს დაეპატრონა. გამარჯვებულ გუნდს წვრთნიან თ. გრძელიშვილი, გ. სორდია და ბ. ბასილაძე. წყალტუბოს „შადრევანმა" ფინალურ მატჩში ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: ჯანელიძე, ცნობილაძე, წიქარიშვილი (იობიძე), გვაძაბია, ტეხოვი, ვოსკანოვი (ჩხაბერიძე), სვანაძე, კერესელიძე, ჩიხლაძე, ონიანი, ფესტველიძე.

შეხვედრა იმსაჯა თბილისელ მსაჯთა ბრიგადამ, ვ. მიმინოშვილი, გ. ხეჩუაშვილი, ა. შილაკაძე.

### დადგენილება ჩვენი ავტორიტეტია

# სოფელი კი თავისას ითხოვს

**ბორჯომის** რაიონი მთაგორიანია. არც ეკონომიკურადაა სხვებზე ძლიერი დასახელებული საკურორტო რეგიონი, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს სოციალური საკითხებისადმი (განსაკუთრებით სოფლად) უყურადღებობის მიზეზი. ამჯერად მხედველობაში გვაქვს ფიზკულტურა და სპორტი, მაგრამ მისთვის საჭიროა არა სტადიონები და ნაგებობები, არამედ მარტივი ტიპის მოედნები, ურომლისოდ სოფლად მართლა ძნელია გაძლოს ახალგაზრდობამ.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ვინ იცის, რამდენჯერ მიიღეს (ყოველშემთხვევაში, იმდენჯერ მაინც, რამდენჯერაც ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები ჩატარდა) სათანადო დადგენილება, მაგრამ რად გინდა, სოფლებში არც დაგეგმილი მოედნები შენდება, არც ვადებს იცავენ, არც პასუხისმგებლობას გრძნობენ და, ცხადია, დადგენილებების შესრულებასაც არავინ აკონტროლებს. მოედნების მოწყობა მიმდინარეობს მხოლოდ სოფლებში დვირში და ახალდაბაში, დაბა წაღვერში კი ძველი მოედანი გააფართოვეს. მარტივი მოედნებია სოფლებში კორტანეთში, ზნავსა და ვარდგინეთში, ესაა და ეს. არადა, რაიონში 37 სოფელი და 4 დაბაა. მაღალი ზონის არც ერთ სოფელს არა აქვს უბრალო სათამაშო მოედანიც კი, არსად არ არის აგრეთვე ტირი. სულ რაიონში კი 2 ტირია. კოლმეურნეობები არ ასრულებენ სანიმუშო წესდების მოთხოვნებს, რაც სოფლის მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის სასურველი პირობების შექმნასაც ითვალისწინებს. ამ საქმეში აქტიურობას არ იჩენენ სასოფლო საბჭოები და მათი დეპუტატები. სხვათა შორის, დადგენილებით გათვალისწინებული სპორტული ბაზები არც თვით საკურორტო ქალაქში შენდება. მაგალითად, ახალუბანში დაგეგმილი იყო სპორტული კომპლექსის, მინერალური წყლების პარკში კი — კორტების მშენებლობა.

ალექსანდრე ჯიბლაძე,
„ლელოს" სპეც. კორ.
ბორჯომი.

რეპლიკა

# საიდან იწყება უწესრიგობა!

**გუშინ** ჩვენს რედაქციას ეწვია თბილისელ ფეხბურთის მოყვარულთა ერთი ჯგუფი. ესენი იყვნენ მაყურებლები, რომლებიც დაესწრნენ საქართველოს საფეხბურთო თასის ფინალურ მატჩს და სურდათ თავიანთი აზრი გამოეთქვათ იქ მომხდარ უწესრიგობათა შესახებ.

„უსაზღვროა ჩვენი აღშფოთება, ყოვლად დაუშვებელია ყველაფერი ის, რაც ამ მატჩში ვიხილეთ, ჩვენთვის ახლა ნათელია, თუ რატომ ხდება უწესრიგობანი რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე კალენდარული მატჩების ჩატარების დროს და ვინ არის ამ უდისციპლინობათა მთავარი მოთავე.

წყალტუბოელი და ბოლნისელი ფეხბურთელები ფინალში გავიდნენ და უკვე ეს ფაქტი ორივე გუნდის დიდ მიღწევას ნიშნავს. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ თამაში მაღალ სპორტულ დონეზე, საინტერესოდ ჩატარებულიყო, როგორც ეს ფინალისტებს შეშვენის, თბილისის „დინამოს" სტადიონზე იმ დღეს დიდი უწესრიგობა სუფევდა.

ამ უწესრიგობათა მოთავე, ჩვენი აზრით, ბოლნისელი გულშემატკივრები იყვნენ. ტრიბუნაზე ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ამიტომაც მათ თავიდანვე ხელთ იგდეს „ინიციატივა", პირველივე წუთებიდან განეწყვნენ არბიტრის წინააღმდეგ, ტრიბუნიდან განუწყვეტლივ ისმოდა უწმაწური შეძახილები, ლანძღვა-გინება, აშკარა მუქარა მსაჯების მიმართ. ხულიგნებს არ მოსწონდათ მსაჯის გადაწყვეტილებანი და მართალი იყვნენ თუ არა, ამას არ დაგიდევდნენ, გინებით იკლებდნენ იქაურობას, წარმოგვიდგენია რა მოხდებოდა, ეს მატჩი რომ ბოლნისის სტადიონზე გამართულიყო. შესაძლოა ვაი-გულშემატკივრები ფიზიკურადაც გაუსწორდებოდნენ მსაჯებს.

თვით ფეხბურთელებზე არას ვიტყვით, თამაში უმთავრესად უხეშობის გარეშე, კორექტულად მიმდინარეობდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ხულიგნების როლი „მადნეულის" გულშემატკივრებმა აიღეს საკუთარ თავზე და საქმე სამარცხვინო დასასრულამდე მიიყვანეს. მართალი გითხრათ, ძალზე ძნელი იყო ტრიბუნაზე ჯდომა ამ უსამსობის ვითარებაში.

გვაქვს კიდევ ერთი შენიშვნა: მატჩის დაწყების წინ დიქტორმა გამოაცხადა: წყალტუბოს „შადრევანის" ორი მთავარი მწვრთნელი, კიდევ ერთი მწვრთნელი და გუნდის უფროსი. საკითხავია, განა საქართველოს პირველობის გუნდს შეიძლება ჰყავდეს ორი მთავარი მწვრთნელი, მწვრთნელი და კიდევ გუნდის უფროსი? ორი მთავარი მწვრთნელი საბჭოთა კავშირის ნაკრებსა და უმაღლესი ლიგის გუნდებს არა ჰყავთ. ცხადია, ეს თვით წყალტუბოელთა სურვილით მოხდა. ვის ვაწონებთ ამგვარი პროვინციალიზმით თავს?

მაყურებელთა აღშფოთება სავსებით გასაგებია. ჩვენ კი დავუმატებთ, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ „მადნეულის" მეკარემ არ დაუცადა დაჯილდოებას და თვითნებურად დატოვა მინდორი, ვიღაც ახალგაზრდა (როგორც შემდეგში გავიგეთ, ეს ბოლნისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ყოფილა) მიეჭრა მსაჯებს და მათთან ანგარიშის გასწორებას აპირებდა. წესრიგის დასამყარებლად საქმეში ჩაერივნენ შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკები. მსაჯმა ვ. მიმინოშვილმა მოხსენებითი ბარათი დაწერა იმის თაობაზე, რომ ბოლნისელთა გუნდის მწვრთნელი თამაშის დამთავრების შემდეგ მასთან სამსაჯო ოთახში შეიჭრა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ყველაფერი ეს და გულშემატკივართა მოქმედებაც არის ელემენტარული ხულიგნობა, რომლის წინააღმდეგაც ახლა ასე აქტიურად იბრძვის მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა.

ვიმეორებთ, საქართველოს მთავარ სტადიონზე რომ ამგვარი ამბები ხდება, რას უნდა ველოდეთ პერიფერიაში ჩატარებულ მატჩებში? ისიც აღსანიშნავია, რომ წესრიგის დამრღვევნი ზედ ცენტრალურ ტრიბუნაზე ისხდნენ ბიძი[...]

[...]კალათებული და სწორედ იქიდან ხულიგნობდა. როგორღაც უხერხულია, რომ სტადიონის დირექციამ წინასწარვე არ მიმართა სათანადო ზომებს და გულშემატკივრებს დაუთმო ის ადგილები, სადაც პრესის, ფედერაციისა და სამმართველოს მუშაკებ[...]ციალისტები და[...]

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13. მძლეოსნობა | — | — | 3 | 1 | 1 | 2 | 4 | 5 |
| 14. ცურვა | — | — | — | 1 | — | 1 | — | 2 |
| 15. სინქრონული ცურვა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 16. წყალში ხტომა | 2 | — | 1 | 1 | 2 | 1 | 5 | 2 |
| 17. ბატუტზე ხტომა | — | 3 | — | 3 | — | 1 | — | 7 |
| 18. ტყვიის სროლა | — | — | — | 1 | — | — | — | 1 |
| 19. მაგიდის ჩოგბურთი | — | — | — | — | — | 2 | — | 2 |
| 20. ძალოსნობა | — | — | — | 1 | — | 1 | — | 2 |
| 21. ფარიკაობა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 22. ფეხბურთი | — | — | 1 | 1 | — | — | 1 | 1 |
| 23. ჭადრაკი | — | — | — | 1 | 1 | — | 1 | 1 |
| 24. კლასიკური ჭიდაობა | 2 | — | — | — | 5 | — | 7 | — |
| 15. აკადემიური ნიჩბოსნ. | — | — | 1 | — | 2 | — | 3 | — |
| 26. მშვილდოსნობა | 1 | — | 1 | — | 0 | — | 2 | — |
| 27. სასტენდო სროლა | — | — | 1 | — | — | — | 1 | — |
| 28. ჩოგბურთი | — | — | — | — | 2 | — | 2 | — |
| სულ | 16 | 19 | 19 | 28 | 20 | 19 | 55 | 61 |

შენიშვნა: II თამაშებზე ჩოგბურთში ჩატარდა მხოლოდ გუნდური შეჯიბრება, რის გამოც ცხრილში არ შევიდა I თამაშებში პირად პირველობაში მოპოვებული 4 მედალი.

უშბაზე პირველი ასვლის 100 წლისთავის გამო

# წარუმატებელი ცდების შემდეგ

**ალპების** ათვისების შემდეგ ევროპის სახელმწიფოების მთამსვლელებმა მზერა კავკასიონს მიაპყრეს. კავკასიონის გამოკვლევის, მისი ალპინისტური ათვისების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს სპორტული ალპინიზმის სამშობლოს — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა, რომლებსაც სათავეში ცნობილი მოგზაური და გეოგრაფი დუგლას ფრეშფილდი ედგა. მან კავკასიონზე მოაწყო რამდენიმე ექსპედიცია, მათ შორის 1868-1874 წლებში, როცა მრავალი პირველი ასვლა განახორციელა.

ინგლისელთა ნუსხაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია კავკასიონის ერთ-ერთ ულამაზეს მწვერვალ სამხრეთ უშბაზე პირველ ასვლას, რომელიც ნისლიანი ალბიონის წარმომადგენელმა ჯონ კოკინმა შვეიცარიელ გამყოლ ულრიხ ალმერთან ერთად 1888 წლის სექტემბრის ბოლოს განახორციელა.

სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელთა რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, 1903 წელს ჩრდილოეთ უშბაზე პირველები ავიდნენ გერმანელი ალპინისტები: ჰელბინგი, შულცე, აიპერტი, შუსტერი და ვებერი.

უშბა ძალზე პოპულარული იყო და არის არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ უცხოელ მთამსვლელთა შორისაც. მაგალითად, ინგლისში, მართალია არაოფიციალურად, მაგრამ მაინც არსებობდა „უშბისტთა კლუბი".

მათ შორის უკანასკნელს, რომელმაც უშბა მეორე მსოფლიო ომამდე დალაშქრა, 1960 წელს ინგლისში შევხვდით. ეს იყო რობინ ჰოჯკინი. იგი უშბაზე 30-იან წლებში ავიდა.

საბჭოთა ჯგუფის წევრებმა, საქართველოს ორმა წარმომადგენელმა იოსებ კახიანმა, დიდმა მიხეილ ხერგიანმა, აგრეთვე მიხეილ ბორუშკომ, ანატოლი ოვჩინიკოვმა, ევგენი ტურმა და ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა (იგულისხმება ე. გიპენრეიტერი. რედ.). ხოჯკინს სამახსოვროდ და პატივისცემის ნიშნად გადავეცით ჩვენი სამკერდე ნიშანი — უშბის დამპყრობთა სამკერდე ნიშანი. თავის მხრივ ინგლისელმა, რომელიც ჩვენი საჩუქრით გულაჩუყებული იყო, გაიხსენა ახალგაზრდობის ის დღე, როცა განთიადისას სამხრეთ უშბიდან გადმოიხედა და მწვანე ველ-მინდვრები, ტყე და სვანეთის სოფლები დაინახა.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ კავკასიონს, რომლის ძნელად ასავალ მწვერვალთა იერიშზე, 30-იან წლებში, ქართველი მთამსვლელები გამოვიდნენ.

1934 წელს ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფმა სამხრეთ უშბა დალაშქრა. მასთან ერთად ამ მწვერვალზე ასვლის სიხარული განიცადა ალიოშას დამ — ალექსანდრამ, იაგორ კაზალიკაშვილმა და გიო ნიგურიანმა.

ეს იყო უშბაზე პირველი საბჭოთა ასვლა.

მომდევნო წელს ჩრდილოეთ უშბაზე პირველად ავიდა საბჭოთა მთამსვლელების წყვილი კიზელოლჯინიკოვის შემადგენლობით.

1937 წელს შესანიშნავმა მესტიელმა მთამსვლელებმა გაბრიელ (ხელმძღვანელი), ბექნუ, ბესარიონ ხერგიანებმა, მაქსიმე გვარლიანმა და ჭიჭიკო ჩართოლანმა სამხრეთ უშბა სამხრეთ აღმოსავლეთის კედლის ავლით დაძლიეს. ამ ლაშქრობით მათ მთელს ჩვენ ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარეს კედლოვან ასვლებს, რომელიც შემდგომ სულ უფრო პოპულარული გახდა.

უშბაზე უმნიშვნელოვანეს ასვლათაგან უნდა გამოვყოთ 1964 წელს დიდი მიხეილ ხერგიანის (ხელმძღვანელი), მეორე მიხეილ ხერგიანის, ჯოკია გუგავას, შალვა მარგიანის, გივი წერედიანისა და ჯუმბერ კახიანის ლაშქრობა. ისინი სამხრეთ უშბაზე ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის ავლით მოექცნენ. მარშრუტის კლდოვანი კედელი იმდენად გლუვი იყო, რომ მას უშბის „სარკე" შეარქვეს.

ამ ასვლამ მთამსვლელთა სამყაროში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლებით შეფასდა.

ოთხი წლის შემდეგ დიდი მიხეილ ხერგიანის მეთაურობით უშბაზე არნახული ასვლა მოეწყო. საუბარია მასობრივ ალპინიადაზე, რომელშიც თბილისის, ქუთაისისა და სვანეთის 45 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ასეთ რთულ მწვერვალზე, ასეთი მასობრივი ალპინიადა მანამდე არ მოწყობილა და ამიტომ იმ ასვლამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ის ასვლა ჩრდილოეთ უშბაზე უგრეთწოდებული კლასიკური მარშრუტით მოეწყო.

აღსანიშნავია, რომ მაშინ უშბაზე ამსვლელთა შორის იყო მიხეილ ხერგიანის მამის მეგობარი და მრავალ ასვლებში მისი თანამეწყვილე, ასაკოვანი მთამსვლელი ალმაცგირ კვიციანი, რომელსაც ამ მწვერვალზე [illegible] 73 წლის ასაკში [illegible].

და აი, უშბაზე პირველი ასვლიდან 100 წლის შემდეგ [illegible] „ზესხოს" ინსტრუქტორებმა ალიოშა გაზდელიანმა, ვლადიმერ ქურასბედიანმა, მალხაზ ცირეკიძემ, იური ოსიპოვმა და გიორგი კოტოვმა მერაბ ნემსიწვერიძის ხელმძღვანელობით, მთამსვლელთა სხვა ბანაკებისა და რესპუბლიკის წარმომადგენელთა რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, ამას, წინათ, უშბა დალაშქრეს. ისინი წლევანდელ სეზონში პირველები არიან, რომლებმაც სამხრეთ უშბაზე ფეხი შედგეს. მათ გაიარეს გაბრიელ ხერგიანის ჯგუფის მიერ გაკვალული კლასიკური მარშრუტი, რომელიც მე-5 ბ კატეგორიის სირთულისაა.

ეს ასვლა, რა თქმა უნდა, „ზესხოს" ინსტრუქტორებმა საიუბილეო თარიღს უშბაზე პირველი ასვლის 100 წლისთავს — მიუძღვნეს.

**ევგენი გიპენრეიტერი,**
**„ზესხოს" ინსტრუქტორი, სპორტის საპატიო ოსტატი.**

**ჯემალ ქელეხსაშვილი,**
**„ზესხოს" დირექტორის მოადგილე სასწავლო სპორტულ დარგში, სპორტის ოსტატი.**

## ოლიმპიური მოზაიკა

● **როგორც** სეულიდან იტყობინებიან ოლიმპიადის დედაქალაქში უკვე ჩამოვიდა ორმოცი ქვეყნის 800-მდე სპორტსმენი, ოფიციალური პირი და ჟურნალისტი. პრეს-ცენტრმა მთელი დატვირთვით დაიწყო მუშაობა.

● **ქალაქის** ოლიმპიურ ბაზებზე წვრთნას გადიან ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის, ინგლისის, ნიგერიის, განისა და გაბონის სპორტსმენები.

● **წინასწარი** დაანგარიშებით XXIV ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც 17 სექტემბერს დაიწყება და 2 ოქტომბრამდე გასტანს, მონაწილეობას მიიღებს 161 ქვეყნის 12 ათასამდე სპორტსმენი.

● **ოლიმპიური** თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის პარალელურად მდინარე ხანზე, რომელიც გარს ერტყმის სტადიონს, ჩატარდება 10 საათიანი საღლესასწაულო ფესტივალი. მასში მონაწილეობას მიიღებს 400 გემი და ათასამდე ვინდსერფი.

● **ოლიმპიურ** სოფელში მწყობრში ჩადგა მინი-ზოოპარკი. ორგანიზატორების აზრით ეს იქნება ყველაზე მყუდრო დასასვენებელი ადგილი სეულში.

● **ინგლისის** ყველაზე ტიტულოვანი ძიუდოისტისთვის ნიილ ადამსისთვის სეულის ოლიმპიადა რიგით მესამეა. მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის თამაშებში მან ვერცხლის მედლები მოიპოვა 71 და 78 კგ. წონით კატეგორიებში.

● **უნგრეთში** დაისტამბა 320 გვერდიანი სპორტული ცნობარი, მასში მოცემულია ინფორმაციები უნგრეთისა და საზღვარგარეთის ოლიმპიელებზე, აგრეთვე ცნობები წინა თამაშებში გამარჯვებულ სპორტსმენებზე.

## კალეიდოსკოპი

### ვეტერანიც ამას ჰქვია

**20-იან** წლებში მსოფლიო საჩოგბურთო ცხოვრების ცენტრი საფრანგეთი იყო. ამ დროს აქ თამაშობდა ოთხი უპოპულარულესი ჩოგბურთელი ჟან ბოროტრა, რენე ლაკოსტი, ანრი კოშე და ჟაკ ბრიუნიონი. ამ „შესანიშნავ ოთხეულს" არ ჰყავდა ტოლი არც ევროპაში და არც სხვა კონტინენტებზე. 1924-1929 წლებში უიმბლდონის ტურნირში უსათუოდ რომელიმე მათგანი იმარჯვებდა, 1927-1932 წლებში კი დევისის თასის უცვლელი ჩემპიონები იყვნენ.

ამ ოთხეულიდან დღეს მხოლოდ ბოროტრაა ცოცხალი. 90 წლის ექსჩემპიონი თავს კარგად გრძნობს და თითქმის ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირს ესწრება. უკანასკნელად ჩოგანი ხელში მან 1977 წელს აიღო უიმბლდონის ტურნირზე. იგი შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ჩოგბურთელთა კოლონას წინ მიუძღოდა.

### მონბლანზე აკუსტიკური სიგნალებით

**ორმა** ბრმა ინგლისელმა მთამსვლელმა ამას წინათ წარმატებით დაიპყრო დასავლეთ ევროპის უმაღლესი მწვერვალი მონბლანი. ამაში მათ ოთხი თანამემამულე დაეხმარა. ისინი ერთ თოკში იყვნენ ჩაბმული ბრმებთან და აკუსტიკური სიგნალებით უკვალავდნენ გზას მამაც ალპინისტებს. ასე დაიპყრეს მათ მონბლანი და ასე ერთ თოკში ჩაბმული დაბრუნდნენ უკან, ძირითად ბანაკში.

## ჩელენჯი-შეკითხვა

**რომი.** „ვარსკვლავთა" აქ გამართული ტურნირი ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება იყო სეულის ოლიმპიადის წინ და მან, ბუნებრივია, სპორტის მოყვარულთა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ნაჩვენები იქნა რამდენიმე კარგი შედეგი: 800 მ. რბენაში — პატერ ელიოტი (ინგლისი) — 1.44,19, სიმაღლეზე ხტომაში — ხოვიერ სოტომაიორი (კუბა) 233 სმ და სხვ.

**პრაღა.** ჰოკეისტთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებად სტანისლავ ნევესელისა და პავლ ვოგლას დანიშვნამ ჩეხოსლოვაკიის პრესაში გაცხოველებული კომენტარები გამოიწვია. სპეციალისტთა უმრავლესობა ამ კანდიდატურებს მხარს უჭერს უმთავრესად კარგი მოგონებების გამო. როგორც ცნობილია 1985 წ. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა სწორედ ნევესელის ხელმძღვანელობით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები.

**ფულესტონი.** აშშ-ს კალათბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა ცნობილ სამოყვარულო კლუბთან „ატლეტს ენდ ექშნთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 91:17. სპეციალისტების აზრით ოლიმპიური გუნდი კარგადაა მომზადებული სეულის თამაშებისთვის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნბა-ს პროფესიული გუნდების წინააღმდეგ ჩატარებული რვა საკონტროლო შეხვედრიდან ოლიმპიელებმა ექვსი მოიგეს.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

## ფილმები — ერთთვიურის პროგრამით

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველომ „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის" ერთთვიურის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა კომპლექსურ გეგმაში გაითვალისწინა სპორტული თემატიკისადმი მიძღვნილი კინოფილმების ჩვენება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ფილმების ჩვენება მოძრავი კინოდანადგარის საშუალებით დაიწყეს საბურთალო რაიონში (კინოთეატრ „ბათუმთან") — 1 სექტემბერს, პირველი მაისის რაიონში (ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი) — 2 სექტემბერს, 18 სექტემბრამდე ნაჩვენები იქნება: კალინინის რაიონში (კიროვის პარკი) — 3 სექტემბერს, 26 კომისრის რაიონში (რიყე) — 4 სექტემბერს, ორჯონიკიძის რაიონში (გამარჯვების პარკი) — 5 სექტემბერს, ლენინის რაიონში (კიკვიძის სახელობის პარკი) — 9 სექტემბერს, ოქტომბრის რაიონში (პოლიტგანათლების სახლი) — 10 სექტემბერს, კიროვის რაიონში (აბანოთუბანი) — 11 სექტემბერს, საბურთალოს რაიონში (ვაჟა ფშაველას პროსპექტის დასაწყისში, არქივის შენობასთან) — 16 სექტემბერს, გლდანის რაიონში (კინოთეატრი „მეგობრობა") — 17 სექტემბერს.

კინოფილმების ჩვენება ყველგან 21 საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა.

**ლევან ყურაშვილი,**

**თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.**



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზ. № 2)**

**8 სექტემბერი**
**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი)**

დასაწყისი 20 საათზე.

მატჩზე დასასწრები და სპორტული ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 3 სექტემბრიდან 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 5 და 6 სექტემბერს.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა შედგება 7 სექტემბერს, დასაწყისი 19.00 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში თამაში გაიმართება „ლოკომოტივის" სტადიონზე იმავე დროს.

„სპო[illegible] სა[illegible]) ხმამაღ[illegible]

თამაშის დამთავრებამდე დაინიშნა სტუმართა კარში 11-მეტრიანი. რაც არ იყო განპირობებული სათამაშო სიტუაციით... შეხვედრის დამთავრების შემდეგ მაყურებელი გადმოვიდა მოედანზე. მილიციის მუშაკებმა, რომლებიც იმ დღეს მრავლად იყვნენ სტადიონზე, უმალვე აღკვეთეს ხულიგნობა. ერთმა მაყურებელმა მაინც მოასწრო და ხელი დამარტყა". ამ ფაქტთან დაკავშირებით გალიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. ლეჟავა, სოციალისტური შრომის გმირი ხ. შონია, სკკპ XIX პარტიული კონფერენციის დელეგატი ი. შამუგია, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მ. [illegible]ვანუა და სხვები გვწერენ: „გა-

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (43

ძეხელდეს საზოგადოებრივი კ[illegible]ტროლი.

### ახლა კი გთავაზობთ კიდევ ერთ წერილს გალიდან

პატივცემულო რედაქცია!

ძალიან გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი, რადგან დარწმუნებული ვარ, მასში დასმული პრობლემები სხვებსაც დააინტერესებს.

წავიკითხე „ლელოს" 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული მ[illegible] წოდება ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისადმი და გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა.

ვარ გალის მკვიდრი. 6 აგვისტო[illegible] შედგა მატჩი ადგილობრივ „მე[illegible]

[illegible]55, [illegible]-97-58, 93-97-27.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 3 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: ცსკა — „დინამო" (რიგა) — **18.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი მოტობოლში — **19.20**

**საქართველოს ტელევიზია. 3 სექტემბერი.** საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა) — **14.05;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი) — **19.00.**

**საქართველოს რადიო. 3 სექტემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი). II ტაიმი — **20.00.**

საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველო და კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი

**დემურ ვასილის ძე გელაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05537